საკულტიკულ, სამეცნიერო და სალიტერატურო ნაბ`ტეზიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 14 მ ა რ ტ ი 29 1898 წ. № 14

შინაარსი: ქართლ-კახეთში ნ. ყორდანანია.—სხვა-და სხვა ამბავი.—მეგობრეშეფთა „ჯირგვლი ამხანაგობის“ საზეიმო კრება დამსწრენი.—კვირიდან კვირამდე.—*** ლეკნ., დ. თომაშვილისა.—მასწავლთა თ. გრ. დიასამ ჰყს.—ბერძნიის ამბები ფ პატრაშვილისა —წერილი მოსკოვიდან (დასასრული) ა.—ჰყსი.—ფატმა (დასასრული) მოთხრობა გ.ნდგბელისა.—„ეკვალის“ ფოსტა და უცნო სიტყვებია ახსნა.

ოდესაქეთის ადრესი: პარტალერიის ქუჩა კალეტის კორპუსის გვერდი სახლი თამბაქოსისა.

ფასი ერთ ნომერი 15 კ.

№ III „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფურიგდა ხელის მომწერელებს.

ქართლ-კახეთში.

ზ ღეს ყველასთვის აშკარაა, რომ საქართველოს ერთი ნაწილი გაეცლებით უკან ჩამორჩენილია თანამედროვე ცხოვრების გზაზე, ვინემ მისი მეორე ნაწილი. ქართლ-კახეთი, რომელსაც ისტორიულ წარსულში მუდამ ხელთ ეპყრა წინმსწელობის და მოძრაობის დროშა, ახლა ვითომ შედგა, წამქნდა და წამორძიკდა. მისი ეკონომიური და გონებრივი განვითარება ისეთი ნელი ნაბიჯით წარმოიებს, რომ გარეშე მეთვალყურეს ეშეიც კი დაებადება ეს სამუდამოთ ხომ არ შეჩერებულია. მაშინ როდესაც იმერეთი კაი ხანია მოღიწეობს სამოქალაქო ასპარეზზე, ამერეთს კი ჯერაც ვერ დაუწყვეია თავი ძველ უკანარეს ურთიერთობისათვის და ვერ აუღია ალღო დღევანდელი რიგი ვითარებისა. იქ თვით ხალხი ღელავს, ფაცა-ფუცობს, მიდი-მოდის და ასე თავის მერმისს თავისავე ხელით იმზადებს, აქ კი ხალხი ვიღაცების საწყელ ფურთი გამხდარა და ამ საერთო მოძრაობაში ის ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს. ის, მამაპაპური გრძნობით და ტრადიციით გაყღენთილი, სრულიად ახალ პირობებშია ჩაყენებული ტ მას კი ეს პირობები ისევ ძველი ჭკონია მას ფეხიდან ეცლება ძველი ეკონომიური საძირკველი, ხოლო გონებრივი და, საზოგადოთ, იდეიური ზეიდ-შეწობა ისევ წინანდელი რჩება. ის ისევ ტეტია, ისევ გულ უბრკველო და გულ-ალალია, როგორათაც ის მას ქამსა შინა იყო. მას ჯერ ვერ მოუპოვებია ის სამოქალაქო თვისებები, რომელიც წარმოადგენს გამარჯვების ერთათ-ერთ იარაღს და დამარცხების ერთთ ერთ მიზეზს. ეი ასეთი გარემოება ქმნის საუკეთესო საბრ-ელს სადაც უშიშრათ თარეშობს ყოველნაირი ჩარჩობა და ძალმომრეობა. და მართლაც ქართლ-კახეთი დაუსრულებელი ცარცვა-გლეჯის ერთთან ერთი ბუდეა. აქ ჩვენ ვხედავთ რომ ეექსილის ქალაღები დაპატრონებია ხალხის სარჩო-საბადებელს და ლამის არის პირში სული ამოართვას. ეს, რასაკვირველია, ფულის გაბატონების და გაძლიერების ღვიძლი შეილია. მარა ეგეც ლეიოონის მოთხოვნილება კიდევ უფრო ღრმათ

გამჯდარი აქვს იმერეთის ხალხს, ხოლო იქ ასეთ მთელი ქვეყნის დამახასიათებელ მოვლენას კი ვერ ეხედავთ. ცხადია ამ ორ ნახევარს შორის რაღაც დიდი განსხვავება უნდა იყოს, რომ მათი ცხოვრების კალაპოტი ასე განსხვავებული. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? ზოგი იტყვის: ხასიათის თვისებებშია, ქართველები უფრო ნელი, მოუხვშავი და აუჩქარებელია, ვინემ გურული ან მეგრელია. მერე რა გამოვა აქედან? ნემიცი და იტალიელი ორ სრულ მოწინააღმდეგე ტიპს წარმოადგენენ, პირველი ეროფსაიეკა ქართლელს, მეორე კი „ფეიერ“ გურულს, მარა ამით იტალიელს ნემიცისათვის არ გაუსწია კულტურის გზაზე, და არა თუ გაუსწია, უკანაც ბეერათ ჩამორჩენია. აშკარაა ასეთი ახსნა საზოგადო მოძრაობის ახსნა არ არის. სოციალური პირობების დედაზაძი თვით სოციალურ პირობებში უნდა ეძიოთ.

მაშ რით არის შესანიშნავი ქართლ-კახეთის ცხოვრება? რა ნაირ საფუძველზეა აშენებული მისი საზოგადოებრივი ურთიერთობა? რით განირჩევა ის სხვა მხარეებისაგან? ჩვენი აზრით ეს ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მიწათ-მფლობელობას და მიწათ-მუშაობაში. პირველ ყოველისა, აქ მიწა მოგრეოლია რამდენისამე ფეოდალის ხელში. ათასიანი, ათი და ოც ათასიანი დესიატინა საკუთრება, რაც ასე სანთლით საძებარია იმერეთში, ძალიან ხშირია ქართლ-კახეთში და ზოგ მაზრაში (ბორჩალოს და გორის) საზოგადო მოვლენასაც კი შეადგენს. წარმოიდგინეთ ისეთი მემამული, რომელსაც ერთი და მეტი სოფელი ეკუთვნის. ეს ფეელი ცხოვრების ნაშთი გამქრალია ყოველგან, ყველა განთლებულ ქვეყანაში, არსებობს მხოლოთ ქართლ-კახეთში. ამას კი უმაღლეს მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ცხოვრებაში. ის იპყრს და ერთ წერტილზე აყენებს ერის ეკონომიურ განვითარებას და წინ ეღობება საერთო მოძრაობას. რამდენად უფრო ფართოა მემამულის საკუთრება, იმდენად ფართოა მისი სამფლობელო რაიონი, იმდენად მეტი ხალხია მასზე დამოკიდებული. რას ნიშნავს ეს დამოკიდებულება? ის დღეს ალარ შეიცავს იმას, რასაც წინეთ შეიცავდა. ისტორიული წარსულში გლეხის და ბატონის ურთიერთობა აგებული იყო ნატურალურ მეურნეობაზე. გლეხი ბატონს მოუხ�და მოუმეკდა იმდენს, რამდენაც ეს მასთვის საჭირო იყო. ხოლო ეს საჭიროება იზომებოდა პირდაპირი მოთხოვნილებით, ჭამა-სმით და არა ოქრო-ვერცხლით და ფულით. ჭამას კი, როგორც იცით, საზღვარი აქვს. დღეში 10—15 გირვანქა საზოგადოს მეტს ვერ შეჭამდა თვით ხარბი ლუარსაძიც. მაშასადამე გლეხს შრომასაც საზღვარი ჭქონდა. დღეს ყოველივე ეს შეიცვალა. მოთხოვნილება იზომება და იკმაყოფილება არა პურით და ღვინით, არამედ ფულით და ფულით. მეურნის ნაწარმოები ფულის სასწორზე გადის და ასე გადახალისებული პატრონის ჯიბეში ჩადის და ამოდის. ამიტომ მემამულე დღეს თხოვლობს მიწის ღალას არა იმიტომ რომ ბეღელში შეინახოს და ნელ ნელა ხარჯოს, არამედ იმიტომ რომ ხელით გაანაღდოს, ფულად აქციოს და ამით ყოველივე მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ამასვე ცდილობს თავის მხრით თითონ გლეხიც. ფული მასაც ისე სჭირია, როგორც ყველას. იზრდება თანდათან მოთხოვნილება და ამასთანავე იზრდება ფულის საჭიროებაც. საიდან უნდა აიღოს ეს ფული თუ არა მიწის ნაყოფიდან? და ეი აქ ეჯახვის ერთმანეთს მემამულის და უმამულოს ინტერესები. ორივე მოწადინებულია ერთ და იმავე ადგილს მეტს გამორჩეს, მეტი მიიღოს და ეს ბაღეს მათ შორის შუღლს და განხეთქილებას. ეს შუღლი და განხეთქილება იმატებს იმდენით რამდენადაც იმატებს მათ მოთხოვნილება, ხოლო ამის დამკმაყოფილებელი საშუალება კი იგივე მიწა რჩება. აქ ერთი საკულისსმო მოგელენაა. მემამულე რაც უფრო მოხუცი დაქეელებული ცხოვრების მიმდეკარეა, მით უფრო ნაკლები აქვს ფულის მოთხოვნილება და მით უფრო კეთილ განწყობილებაშია გლეხებთან. პირ იქით, ის რაც უფრო ახალ-ეაზდა და აქეთ-იქით გადანაზდა მით უფრო მეტ ფულს საჭიროებს და მით უფრო მეტს თხოვლობს გლეხებისაგან. ამის მეორე მაგალითს წარმოგვიდგენს ისიც, რომ ხალხს განთლებულ ლედელს გაუნათლებელი ლედელი ურჩევნია, ვინაიდან პირველი სულ ფულს გაიძახის, ხოლო მეორე „საკურთხითაც“ იოლათ მიღის.

ამ ნაირათ, რაც უფრო ახლდება მემამულის ცხოვრება, ბურჟუაზდება მისი მოთხოვნილება, მით უფრო ეიწროდება მის მიწაზე მომეშვე გლეხის მდგომარეობა და იწყება ბრძოლა და ქიშპობა. ეს ასე არ არის მხოლოთ იქ, სადაც, მოთხოვნილების განახლებასთან ერთათ, ახლდება თვით წარმოებაც, ე. ი. მიწათ-მოქმედება კაპიტალისტიურ ხასიათს ღებულობს, ინტერესიური მეურნეობა ფეხს იკიდებს ⊕ მემამულეთ ⊕ უმამულოთა შორის სრულიად ახალი დამოკიდებულება ჩნდება. მარა ასეთი ღრმა ცვლილებისათვის აუცილებელია თვით ფეოდალური საკუთრების დაპატარავება, ფულიანის ხელში გადასვლა, ხალხის გაჩარვება, მიმოსელის გაადვილება, დიდი კაპიტალის ამოძრაობა, ბაზრის შექმნა და სხ. და სხ ეს მთელი პროცესია, ეს მთელი გზაა. ჩვენი ქვეყანა, და კერძოთ ქართლ-კახეთი, ამ გზაზე უკვე დგას, მარა სანამ ის ბოლოშდე მიეიდოდეს დროა საჭირო, ხოლო ცხო-

ერება კი თანდათან მეტს თხოულობს. და აი ეს იწვევს მწარე ტკივილებს და აშფოფებს კრიზისს. იმერეთის ხალხი ამას იმსუბუქებს იმით, რომ გარეთ გადის სამუშაოზე და რასაც მეფრნეობა აკლებს სხვაგან ისარულებს. ქართველი კი იძულებულია დღე და ღამ, ზამთარ-ზაფხულ, მიწას ჩაკიბეკოტოს, მაგ დრო და მოცალეობა არ აქვს სხვაგან წავიდეს, სხვა რასმე შეეცადოს; ის თავის შვილსაც არ გზავნის სკოლაში, მომიცდაო. ერთი სიტყვით, ის მიკუოლია მიწაზე ის მიწის მონა-მორჩილია, მიწის პატრონის ქეშეფრდომი და ყოველივე ეს ნებას არ აძლევს მას თავი აწიოოს, აქეთ იქით მიიხედ-მოიხედოს, რაიმე ახალი გამოსაზროს. მასში გამბედობა, ენერგია, თაოსნობა დამქრალი, დაშრეტილია. მან იცის მხოლოთ „კნიაზი“ და მეტი არაეინ. და სწორეთ ამის გამო შეიქმნა მისი მდგომარეობა აუტანელი. ხალხი დასუსტდა, დაუძლურდა და ყოველ ნაირ ჩარჩენისთვის ადვილი სათლელი შეიქმნა. ხალხი ეერ უძლებს უცხო ტომთა მოკალეობას და, რომ კიდეე იმერეთი არ შეელოდეს, აქამდის სამოდამოთ დამაცხდებოდა. ასეთ პირობებში ფერხდება მეგადრთა გამრავლება *) და მით ნაციონალური ცხოვრებაც განსაცდელს ეძლეეა..

ამგვარათა, ჩეენი ქეეყნის ის კუთხეშია, სადაც ფეოდალური მიწათა-მფლობელობა და ზედ-აშენებული ურთიერთობა ისევე დარჩენილია—ხალხიც დასუსტებული, დაბეჩავებული და არსებობისთვის ბრძოლაში დამარცხებული. აშკარაა, ამ ორ მოელენათა შორის მეეტრო კავშირი არსებობს. მარეკელი ერთთ ერთი მიზეზია მეორის. ამისათვის, ქართლ-კახეთის ახალ გზაზე გამოყენანა, მისი საკაცობრიო მსელელობაში ჩაბმა და მით მთელი ხალხის, მთელი ერის აღორძინება შესაძლებელია მაშინ, როცა მისი მიწათ მფლობელობა დაირღეეა, ძველებური დამოკიდებულება დაინგრეეა ბ სოფელი ერთ-გადასულ, ბატონ-ყმურ ოდენებისაან განთავისუფლდება. აი სწორეთ მაშინ დადგება ხანა მოქალაქეობის და შეუერებელი წინ-მსელელობის..

ნ. ჯორდანია.

---

*) სოფლის კორესპონდენტები სშარსი ჩაგიან, სადღის ფარდენობა უკან მიდის და ამის ეფექტი ან ეჭვეს ეურადღებასო. კარგია სოფლის მეთვალეურეები ამ დიდი საეურადღებო საკანს ეეოსწავლდენ და სტატისტიკურნი გეკეთოვლისწინებელ მგზავრებთა მოძრაობას.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ეროგორც პეტერბურგიდან მოსულმა დეპეშამ შეეტყობინა, სახელმწიფო საბჭოს ძირიანთ შეუცველია ჩეენი სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების წესდება. ახალი წესდებით ბანკის საქმეების მთელი მართვა-კამბეგობა გადადის წარმომადგენელთა ხელშე; ნახეგარი წარმომადგენელნი აღირჩეეიან თავად-აზნაურთაკან და ნახეგარი მსესხებლებისაგან, ხოლო დამფუძნებელნი უკანეე მიიღებენ თავიანთ ხეედრს, ბანკის დასაარსებლათ შეტანილი ძირითად თანხას, და საბოლოოთ გამოესალმებიან ბანკის ბედ-იღბალში მონაწილეობას.

—

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეი გადადეგა 23 მაისისათვის.

—

ჩეენ ეტყობულობთ რომ გორის ეპისკოპოზი ალექსანდრე დანიშნა გურია სამეგრელოს ეპისკოპოზათ, არხიმანდრიტი ლეონიდი—ეგორის ეპისკოპოზათ, ხოლო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი გრიგოლი მოსკოვის სინოდალურ კანტორის წეერთ.

—

წარსულ კვირას თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოზდა „ახალი მკითხველის“ წეერთა საზოგადო კრება. საზოგადოებამ, რომელსაც ქლოთ მოეყარა თავი, ერთხელ კიდეე მოიმეს ნა ამ სამპატიური ამხანაგობის უნუ ეშო მდგომარეობა და გადასწყეტეა ახალი ამხანაგობის შედგენა. კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამხანაგობის ახალი ორგანიზაციის შემუშაეება, თუმცა დამზადებინა პროექტი, მაგრამ საზოგადოებამ იძულებული იყო უფროოობის გამო მისი განხილეა შემდეგი კრებისათვის გადადეო. ეს კრება დღეეისთვის არის დანიშნული იმავე ბანკის დარბაზში.

—

21 მარტისთვის დანიშნული იყო თფილისის მოსამსახურეთა დამხმარებელი საზოგადოების კრება. კრებისთვის უნდა წარმოედგინა მარშან ამ საქმისთვის არჩეული კომისიას პროექტი მომავალი საზოგადოებისა. მარა, სამწუხაროთ, კრებას შეადგენდა მხოლოთ ერთათ ერთი კაცი, კომისიის თავმჯდომარე ბ. ა. ღოლაძე თავისი პროექტით; სხეა არაეინ გამოცხადდა. რით უნდა აიხსნას ასეთი სამაგალითო გულ-გრილობა, საც იყეენ კომისიის წეერები მაინც? მაშ რატომ აცხადებენ გაზეთები კრებაა და დაესწარითო, თუ გამომცხადებელიც არ დაესწრებოდა? საკვირველ არს უფალო საქმენნი შენნი!..

29 მარტს მოხდება თფილისის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება, რომელიც სხვათა შორის განიხილავს კითხვას სასწავლებლებში მეუე ეროკლე მე II სახელობაზე სტიპენდიების დაარსების შესახებ.

—

1 აპრილისათვის დანიშნულია სიღნაღის მაზრის თავად აზნაურობის საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საკენები: 1) თფილისის გუბერნიაში ერობის შემოღება; 2) კახეთი ღერნის ფილ-სიფიკაციისაგან დაცვა და 3) მაზრის საჩქაროთ გამოკენისათვის ზომების შემუშავება.

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კაეკასიის საფოლოქსერო კომიტეტისათვის ფილოქსერასა და სხვა-და-სხვა ენენის აეათმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველათ ამ წელში მოეცია 146 ათასი მანეთი. კაი ლუკმაა!..

—

გაზეთები ოუწყებიან, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ გადაწყეტა პოლიტეხნიკუმი თფილისში იქმნას დაარსებული.

—

ახლო მომავალში აპირებენ რამდენიმე ბამბის ქარხანა დაარსონ კაეკასიაში. პირველი ქარხანა დაარსდება ბაკოში.

—

ამერიკელ ჯონსონისა და კომპ. ფირმას განუზრახავს შეისყიდოს მდ. ეერის პირათ მდებარე მიწები, სადაც ამერიკელ ეკოლოგს ტილზენსა და ბაკოელ ინჟენერს ფურნეგს ნავთი აღმოუჩენიათ. ამ მიწების ერთი ნაჭერი უკეე აუღია იჯარით პრინც ა. ბ. ოლდენბურგელს და აპირებს ჯერ ხანიათ ისეე განაკრძოს ნავთის გამოკელეეა. პრინცს უკეე მეკადინეობა დაუწყია რომ ნება-მისცენ ეიწრო ლიანდაგანი გზა გაიყვანოს ამიერ კაეკასიის რკინის გზის სადგურ ყარაიაზიდან იჯარით აღებულ ადგილამდის.

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყეტია შავი ზღვის პირის გუბერნიაში ერთი ნაწილი მიწისა, სახელდობრ დაბა აღიერესა და ზოსტაგალს შუა მდებარე, იჯარით გაესცეს კერძო კაეკებზე იმ აზრით, რომ ამ ადგილებში ხეხილი და ენენი იქმნას გაშენებული. მოახსენებულ რაიონში კარგათ ვეგრობს ხეხილი და ბაღეულობა, მაშინ როდესაც სოჩის ჩრდილოეთ ნაწილში და ნოვოროსიისკს მახლობლათ საუკეთესო ადგილები ენენებისთვის.

—

რადგან ამ ბოლო დროს ბეერი თხოულობს სოფლებში დუქნების ნება-რთვას, ამიტომ თფილისის გუბერნატორს თურმე ბრძანება მიუეია მაზრის უფროსებისთვის ამისთანა ნებართვეეში ყოველთვის შემატყობინეთ ხოლმე რამდენთ საკერია ახალი დუქნის დაარსებაო.

—

გროზნიდან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ იქაურ კაპიტალისტ ბეერდოვანსთვის ბედს უჩუქებია კიდეე ერთი ნავთის შაურეანი, რომელიც დღეღამეში 50 ათას ფუთ ნავთს ღებულ.

—

დუხობორები ამ თვის გასულს გაემგზავრებიან საზღვარ გარეთ ბათუმის გზით. ამის ნება-რთეა, როგორც იციან მკოთხეელებმა, უკეე მიიღეს მთავრობისაგან.

—

კაეკასიის უმაღლესმა მთავრობამ თანახმათ „უბოისის მთავრობის შუამეგობლობისა 7 მარტს დადგენა, რომ ხუგდიდის მცხოვრებნი თავ. ტარიელ დგებუაძე და აზნ. ალმასხან ჩხოლარია ცუდი ყოფაქცეევისათვის გადასახლებულ იქმნან სუხუმის ოლქიდან თავის საცხოვრებელ ადგილას; ხუთი წლის განმაელობაში აქედან არსად არ შეეძლებათ წასელა.

—

24 მარტს ყარსის რკინის გზაზე სადგურ ახტალასა და სადაფლოს შორის ორი მოუმატარებელი ერთმანეთს დაატაკეს. არ ეიცით ეგზენების სიმეე დრე-სიმაგრეს ცდილებ თუ თეითონ ახლათ გაკეთებულ გზისას. ამ ხელთ „ცდას“ ადამიანის მსხეერპლი არ მოუთხოეია, მხოლოთ ეგზენები დაზიანდენ.

—

ხონისა და კუხ-გუბის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს თავისი წარმომადგენელი გაუგზავნიათ მოსკო

ჯეს ორი მანეთი: მან მაზრის უფროსთან იჩიელა, მარა არა გამოვიდარა. დროა ამას ყურადღება მიექცეს.

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის საზოგადო კრება.

მარტის 22 მიხდა ს. კუზნი კრება მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა ქუთაისის გუბერნიაში. ეგოონები, ჩვენ კუთხეულ ქვეყანაში ჯერ მაგალითიც არ ყოფილა, რომ რომელსამე ამხანაგობას ასეთი სიმპატიები შეგებებოდეს ყველა; პირველათვე ამ ამხანაგობამ ისეთი თავბრუე დაასხა ყველას თვისი საარაკო. მოგებით (თუმანზე ექვსი მანეთი), რომ აღტაცებული საზოგადოება ერთი მეორეს ეცილებოდენ წილის ბარათებს, არა თუ ამ ახლო-მახლო, შორეულ დაბა-სოფლებ ქალაქებშიაც. თვით უღარიბესნენც არას იშურებდენ წილის შესაძენათ. ასე იყო ჰამეი, ხოლო ამ ბოლო დროს საზოგადოება შეიერკა, უკან ხეკი დაიწყო და ამხანაგობას უნდოდ შეხედა. ეს გარემოება თან-და-თან უფრო საგრძნობელი შეიქნა. მიზეზი ასე სამიდათ დაწყებული სიმპატიური საზოგადოების წაფარხილებისა თვით მისივ მართვა-გამგეობაში უნდა იმალებოდეს, რადგანაც გარეგან ყოველი ხელს უწყობს ამხანაგობის წარმატებას: სიმპატია, ნდობა, კარგი მოსაკალი, ბაზარზე ფასების აწევა და სხვ.

დაწერილებით ამხანაგობის სიაკარგის ახსნა-განმარტება ამ მოკლე წერილში შეუძლებელია, ხოლო უკანასკნელი კრებისა და მის მიერ მოხდენილი მოამბეგხილების აღწერას შეუძლია საკმო ნათელი მოჰფინოს ამხანაგობის დღეგანელ მდგომარეობას.

დავიწყოთ გარეგნობიდან: კრება მოხდა პარკების გადასარჩენ ჯარდულში. იმდენი მზრუნველობაკე არაეის გაეწია კრებისთვის, რომ უბრალო საჯდომები გაემართა, თუნდაც ისეთი, როგორსაც ჩვენში ტირილის დროს მართვენ; საზოგადოება მთელი დღე ფეხზე იდგა. ამითვე უნდა აეხსნათ ის გარემოება, რომ კრებაზე სუფეედა საშინელი უწესობება, ზრაალი: ყოროთა სმენა აღარ იყო! ფეხზე დგომით ქანც გაწყვეტილ საზოგადოებას რა ყურადღება მოეთხოვება. იქნება ეს რაიმე მოსაზრებით საჭიროც იყო.

კრებას ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო, წვერთა მეხუთედი თუ იყოს; ამის მიზეზი ბ. გამეგა: უწესება მეათედისათვისაც არ გაუფხავნია, განცხადება ხომ რა სათქმელია; თუ ასობით იქით-აქეთ საჩუქრებს ეძ ეკეთო, რამდენიმე ათი მეწეთიც დახარჯულიყო უწყებებზე და განცხადების დაბეჭდაზე. კრება საყეედურს აცხადებდა ერთხმივ! თუ გარეგანი ბზარე კრებისა შემზარაეი იყო, შინაგანი უარესი იყო. განემარტოთ; საზოგადოთ მიღებულია, რომ კრებას უძღვება და მართავს განკეგ არჩეული კრების თავმჯდომარე, ანგარიშს კითხულობს, კითხვებს სვამს, სიტყვის ნებას აძლევს მსურველთ, ხმებს ითვლის, გადასწყეტტს კითხეა ავმორკეეულია თუ არა. გამგეობას თუ გამგეს ნება არა აქეს თავმჯდომარის უფლებანი მისაკუთროს. ეს უკანონოთ ითვლება ყველგან, გარდა კუზისა. აქ ლაპარაკობს ბ. გამგე, კითხვებს სვამს ოგივე გამგე, არაეის ლაპარაკის ნებას არ აძლევს ოგივე, თვ ეინმეს იძალა და ლაპარაკი დაიწყო, სიტყვებს აწყვეტინებს და თვით განაგრძობს ოგივე გამგე, მდიანსაც თვითვე უკანონაებს მის მიერ ეგ დადგენილ გადაწყეტილებას. ერთი სიტყვით ბ. გამგეში განხორციელებული ყოფილა მთელი ამხანაგობა, სხეა, არც სხეისი ზბრი არ ყოფილა საჭირო და აკი არც არაეინ მოუწეეია კრებაზე.

რას აკეთებდა ამ დროს არჩეული თავმჯდომარე?

იდგა ისიც სხეებსაეით ფეხზე და ხან გამოშეებით ალმაღლებდა ოთხ-კუთხ სახაზაეს მარჯეენითა თეთრთა და ხანდახან კიდეც დაარხეუნებდა სტოლზე და ითხოვდა მუდარებით დაწყნარებულიყო საზოგადოება და მოეესმინა ბ. გამგის სიტყეა, რომელიც განუწყეტელ ქუხდა. გრძნობდა თავმჯდომარე, რომ მისი უფლებანი უკანონოთ შელახულ იქმნენ, მოსარჩლე კრებაში არაეინ აღმოაჩენდა და სდუმდა.

კრება კი დრტეინავდა!

რა გაკეთა კრებამ?

არაფერი, რადგანაც იმდენი არეულ-დარეული საქმე მისცეს კრებას ზედი ზედ, შეუჩერებლიე, რომ ინგლისის გაზაფულ პარლამენტსაც რამდენსამე კეირას ეყოფოდა თავსამტერეედთ.

რა უნდა გაეკეთებინა კრებას?

უნდა წლიური ანგარიში განეხილა და დაემტკიცებინა, მოგება დაენაწილებინა, წესდება განეხილა, ახალი წევრები აერჩინა, შალეულობის მწარმოებელთა საზოგადოების შედგენაზე მოელაპარაკა... ყველა ეს ღნდა მოესწრო ნახეკარ დღეში. თუ კრებამ ეერაფერი რიგიანი ეერ გადაწყეტა და ყოველივე ბ. გამგის ნაკარნახეკი დადგენილება შეეიდა ოქმში, ამაში დიდი დანაშაული მოუძღეის სარეეეზიო კომისიას, რომელსაც არაეითარი მოახსენება არ წარმოუდგენია კრებისთვის, მხოლოთ მკეახეთ განაცხადა, რომ გამგესთან შეთანხმებით(!) ანგარიშებზე ხელი მოვაწერეთო. ღეთის წინაშე, ბ. გამგე და სარეეეზიო კომისია იმას კი გეეფიცებოდენ, რომ ეერძო კრებებზე ძლიერი გაცხარებული შეტაკება გვქონდა ურთიერთ შორისო. რისთვის, რაზე, რატომ? საი-

დუმლოა. ოქმები არ შეუდგენიათ. ახლა მიბრძანეთ. კრებას ვით შეეძლო განეხილა წარმოდგენილი ანგარიშის სინამდვილე და სმართლე? რაკი გამგემ დაიფიცა, მეტი ჯანი არ იყო, მიეიღეთ. მხოლოთ უნდა აღეიაროთ, რომ ანგარიშები დიდათ არეულ-დარეულია და ბევრ ადგილას ეკვს ბადგეს. ამიტომ საჭიროა რევიზიის კომისიამ ბევედით მაინც გეაუწყოს თვისი მოხსენება და ანგარიშების გარეშეობა და ამით ცოტათი მაინც აიცილოს ის საყვედური რომელიც კრებაზე ღირსეულათ დაიმსახურა.

მოგების დანაწილებაზე ბაასის დროს ერთ საყურადღებო საგანს შეეხო ბ. გამგე: მოგებიანი უდიდესი ნაწილი ხდება მწარმოებელ ამხანაგს, ხოლო მცირე ნაწილი დარიგდეს პაიზე დიეიდენდათა. პრინციპი ჩინებულია, ხოლო საქმე იმაშია, რომ ამ აზრის გატარების დროს ძლიერ უკადრისათ იხსენიებდა არა მწარმოებელთ, ფულიან ამხანაგთ და სხ. „შორს ჩვენგან არა მწარმოებელი, ფული ჩვენ თვით მოგვეტმენისო"... და სხ. ეეიკეთის რომელ ფულიანებს ებრძოეის ბ. გამგე. ამხანაგობაში ბეერნი არ არიან ფულიანები და ბეერი პაის მქონებელნი. უმეტესი ნაწილი მწარმოებელნი არიან. ნუ თუ მწარმოებლების გულის მოსაგებათ დაიბარჯა ეს ტყეიანწამალი? ალბათ რაიმე დანაშაული მიუძღვის ბ. გამგეს. სწორეთ. აბა საქმიდან სადა ჩანს მწარმოებლების კეთილობა? მოგებიდან ასობით საჩუქრათთ დარიგებული ფული ვის აკლდება? ესეც არ იყოს: ამხანაგობის ფულით შეძენილი ს

ცი თუ სად არ როგორ დაიხურა ᲣᲩᲘᲜ-მᲐᲩᲘᲜᲘᲡ ქუდი და ასე ᲔᲛᲨᲕᲘᲪᲘᲗᲘ მიმᲐᲮᲐ. მᲐᲠᲗᲚᲐᲚᲘ წინეთ კი გამᲓᲒᲐᲜᲐ, რომ ერთᲘᲗᲘ მᲝᲮᲚᲘᲚᲔᲑᲘ პᲐᲠᲐᲚᲙᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲔᲚᲐᲜ და დიდი ძᲘᲑᲘᲡ შᲔᲛᲓᲔᲒ სᲐᲚᲔᲚᲐ ᲮᲜᲘ ᲑᲠᲔᲚᲘᲚᲔᲑᲘ გᲐᲛᲝᲐᲠᲗᲘᲚᲘᲡ. მᲐᲠᲐ ᲔᲡ მᲝᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ იყო და ᲐᲑᲐ როგორ შᲔᲪᲕᲐᲠᲓᲔᲑᲝᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲐᲗ ᲩᲔᲠᲔ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲚᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ, როგორც ᲬᲔᲑᲔᲑᲝᲓᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲩᲔᲠᲔ „ᲙᲘᲠᲘᲜᲓᲐᲜ ᲙᲘᲠᲘᲜᲓᲐᲛᲓᲔ“ ᲐᲡᲘᲗᲘᲡ მᲝᲮᲚᲘᲚᲘᲗᲐ პᲐᲠᲐᲚᲙᲔᲚᲘᲡ ᲑᲔᲚᲘᲡ წᲘᲠᲐᲡ და თᲐᲒᲘᲡ თᲐᲒᲘ მთᲔᲚᲘ ᲬᲘᲠᲔᲚ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲐᲫᲘᲜᲔᲜᲐ. მᲐᲠᲐ, მოᲛᲧᲘᲡᲘ სიცოᲮᲚᲔᲑᲘ, ᲒᲔ ᲘᲛᲐᲡ საᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲬᲐᲕᲪᲐᲜᲐᲒ კᲘᲡᲘᲠᲘᲜ ᲮᲔᲚᲘ და სულ „ᲔᲐᲜᲘᲗ ᲓᲔᲓᲐᲚᲘ“ ᲓᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐᲜ გᲐᲛᲝᲒᲐᲮᲐᲮᲐᲜᲒ თᲐᲒᲘᲡᲘᲡ სᲝᲠᲘᲜᲔᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲜᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲙᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲒᲐ სᲐᲮᲜᲐᲒᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ და მᲘᲡᲘᲜ ᲐᲡᲘᲗᲘᲡ თᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ თᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡ. სᲐᲥᲘᲗᲘ კᲘ მᲐᲜᲘᲜ ᲔᲓᲔᲠᲐᲤᲘᲡ ᲣᲛᲘᲗᲘᲡ! ᲘᲡ ᲨᲘᲓᲔᲠ ᲓᲦᲔ ᲬᲐᲕᲓᲐ და ᲬᲐᲕᲓᲐ, გᲐᲒᲘᲜᲐᲠᲘᲜᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲔᲚᲘᲡ. ᲘᲛᲘᲜᲔᲡ ᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲮᲐᲮᲐᲜᲔᲑᲘᲚᲘᲡ. ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲜᲘᲡᲔᲚᲘ! მᲘᲡ ᲡᲘᲨᲘᲤᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲔᲜ და პᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ, მᲐᲠᲐ ᲩᲔᲠᲔ რა, გᲐᲛᲭᲠᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲔᲚᲘᲗ თᲝᲚᲔᲠᲘᲗᲘ. მᲐᲨ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲗ მᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ კᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ მᲘᲪᲐᲕᲘᲗᲘᲗ ᲧᲣᲤᲐᲠᲔᲑᲘᲗ, თუ არა ᲨᲘᲛᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲘᲪᲘ გᲐᲒᲠᲔᲕᲐᲠᲗᲐ და დᲐᲒᲔᲗᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲪᲐᲠᲘᲝᲔᲚᲘ. ᲨᲘᲛᲔᲚᲔᲑᲐ არც ᲐᲛᲘᲗᲘᲗᲘ ᲨᲔᲘᲒᲠᲣᲭᲘᲗᲝᲗ ᲓᲘᲓᲐᲗ თᲐᲒᲘ. ᲩᲔᲠᲔ ᲮᲜᲘ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲧᲣᲤᲚᲘᲗᲐ არ ᲓᲐᲜᲒᲐᲠᲘᲜᲝᲗᲐᲗ ᲘᲜᲒᲠᲔᲚᲘᲡᲘᲗᲘᲗ. და თუ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲧᲣᲤᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐᲗ არ ᲔᲠᲐᲙᲘᲗᲡ,

***

ᲧᲣᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲜᲘ ᲗᲣᲗᲣᲠᲘᲗ ᲧᲣᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲣᲜᲓᲐ იყოს და სᲮᲐ არაᲤᲔᲠი. და ᲛᲔᲠᲔ რა და რა მᲐᲮᲐ არ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲣᲑᲣᲚი ᲐᲛ სᲮᲘᲡᲘᲜ ᲧᲣᲤᲚᲘᲡ დᲐᲡᲐᲬᲘᲠᲐᲗ და თᲐᲒᲘᲡ ᲭᲘᲡᲘᲜ გᲐᲡᲐᲪᲔᲜᲘᲗ! ᲐᲛ ᲫᲣᲠᲜᲐᲖᲔ რაც ᲮᲐᲚᲜა, ᲧᲔᲚᲘ ᲐᲛᲘᲡ მᲘᲯᲣᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗი ᲔᲐᲘ ᲣᲨᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚი ᲐᲪᲘᲡᲐᲜ. მᲐᲠᲐ ᲔᲘᲜ მᲘᲐᲜᲐᲯᲘᲠᲔᲑᲔᲡ თუ ᲔᲠᲗ ᲐᲡᲘᲗ მᲐᲮᲘᲗ ᲐᲗ ᲩᲔᲠ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ სᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ როგორც კᲘ დᲐᲠᲩᲔᲡᲘᲐ მᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ თᲣᲠᲛᲘᲗ ᲣᲪᲣᲪᲔᲑᲐ და რამᲓᲔᲜᲘ ᲧᲣᲤᲚᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲓᲛᲘ ᲬᲘᲜ, მᲘᲓᲘᲗ და მᲘᲓᲘᲗ ᲥᲔᲓᲘᲗᲘ, სᲐᲓᲦᲐᲪ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲣᲚᲨᲘ, ᲓᲦᲘᲡ სᲘᲜᲗᲔᲡᲚᲘᲡ მᲔᲠᲔ ᲔᲓᲔᲠᲘ ᲘᲗᲔᲚᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ-ᲪᲮᲔᲚᲘᲗ მᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲧᲔᲚᲔᲠᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ სᲘᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ „ᲐᲮᲐᲚᲘ-ᲛᲙᲝᲗᲮᲔᲚᲘᲐ“. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲚᲘ კᲘᲗᲮᲕᲐ კᲐᲠ სᲐᲥᲘᲗᲐ, ᲛᲘᲗ უᲤᲠᲝ ᲗᲣ ᲐᲠ შᲘᲜᲐᲐᲠᲡᲝᲛᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘა, მᲐᲠᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲐᲜᲘ მᲐᲜᲐᲗᲐᲡ რომ ᲒᲐᲫᲘᲝᲗ ᲔᲠᲗᲔᲤᲘᲠი სᲐᲥᲘᲗᲐ. და ᲐᲠ სᲬᲠᲔᲗ ᲐᲡᲔ უᲛᲐᲪᲠᲔᲡᲘᲐ „ᲐᲮᲐᲚ-ᲛᲙᲝᲗᲮᲔᲚᲘᲡ“. მᲣᲛᲐ ᲮᲐᲚᲜᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲡᲐ

გ. ᲡᲐᲚᲕᲘᲜᲘ

შესანიშნავი იტალიელი არტისტი, რომელსაც ამ მოკლე დროში თფილისში მოელიან.

ულ-დარეულნი იყვენ რაღა გასაკვირველია, როცა სასულიერონიც ჩარეულან ამ ფერხულში და ერთმანეთს ზურგზე ბოლს ადენენ. მართველობის სენი მარტო ამხანაგობის საკუთრება კი არ ყოფილა, ის ზოგ ღვდელსაც დარეია და გურიის ერთ კუნჭულში ნაკარტუტა ეუყენებია. მოგეხსენებათ, ერთ განათლებულ და ახალგაზდა მოძღვარს გაუთანლებელი და მოხუცებული მოძღვარი რეფოლერით დაუჭრია. როგორც ხედავთ განათლება თურმე თოფ-ბარაღს საჭიროებს. შეიძლება ეს ასე იყოს, გასაკვირველი არა არის რა ამ ცოდელ ქვეყანაზე, მარა ახლა ისმის რომ მთელი ეს ალიაქოთი გამოგონებული ალიაქოთია, პატიცემული მოძღვარი კი არის დაჭრილი, მარა საიდან ან როგორ ალახმა ფუჩეს, უხილავი ძალა თუ ამოძრავდა, თვარა სხვა ვინ შეკადრებდა რასმეო. ეი როგორ ეფუზჩენენ საქმეს ამ დალოცვილ გურიაში. ოჰ, ეს მკერცხლი გურულები! რას არ მოახერხებენ, რას არ მოიშახვენ, რას არ მოისაზრებენ! წყალზე მიგიყვანენ და წყალს არ დაგალევინებენ. ერთი სიტყვით გურული არასოდეს გულს არ გიიტეხს, იარაღს არ დაყრის. მიდის და მიდის ბოლოსდე „პირდაპირ ეით შურდული“. ნეტავ ეს ჩვენი თფილისი ერთ დღეს მაინც გაგურულდებოდეს, ხელათ არ მოეღებოდა ბოლო.

***

ქალაქის ახირებულ გამგეობას. აქ ისეთ საარაკო პირთ მოუყრია თავი, რომ საბჭოს თითო სხდომა—თითო კომედიაა. სიცილილ და ხარხარის ფუფებაზე თუ ჯართ ორშაბათობით ხმოსნებს უნდა ცსტუმროთ და სამაგალითოთ გაგარითოპენ. განსაკუთრებით ქუჩების კითხვამ არია მათი მონასტერი. ვინ უნდა შეაკეთოს ქუჩები? ერთი ამბობდა ქალაქმაო, მეორე—სახლის პატრონებმაო. უყარეს კენჭი ორივეს და ორივე გაა შავეს. გამოდის რომ ქუჩები ისევ სტუმრათ მოსულ ხალხმა უნდა გაუკეთოს ბატონ მოქალაქეთ. საბჭომ უარჰყო ქალაქის გასუფთავება —ეს პირდაპირი მისი მოეალეობაა,—სამაგიეროთ მან სრულიად ახალი თანამდებობა მოუბოძა თავის თავს, ის თურმე მოქალაქეთა აღმზრდელი, „ნადზირატელი“ ყოფილა. არ გჯერათ? აი 23 მარტის სხდომა. გამგეობის წევრი ეფრამშვილი დიდი რიხით აცხადებს: ჩვენ თფილელები უნდა აღეზარდოთ მორჩილებაშიო! ᲦᲛᲔᲠᲗ ᲔᲗᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ? თითონ გამგეობის, რასაკვირველია, რასაც ეს უბძანებს ის უნდა ასარულონო. მაშ ეიკოდეთ ამიერიდან, რომ თფილისის გამგეობამ თავისი ძველი თანამდებობა დატოვა და ახალი მიითვისა: ის ჩვენი აღმზრდელია და დაეთრით ხელში სახლებში ჩამოიელის მეცხოვრებია ყოფა-ქცევის გამოსარკვევად. ფრთხილათ! არა ვიეშმაკოთ რა! თვარა კარკერი...

***

თფილისის საბჭო ისევ თფილელთ ემუქრება კარკერით და ვინ იცის ამას რიდის შეასრულებს, ხოლო ქართველთა სამეურნეო ბანკმა კი უკანასკნელ თავის კრებაზე სოფლის გლეხ-კაცობას უყრა თავი უფუფლობის კარკერში. აქამდი ჩვენ ვეგეგონა ეს ბანკი წოდებრივი დაწესებულება არ იყო, მარა მოეტეფუებულვარო. კრებაზე წინაღდგება შემოიტანეს სოფლის საზოგადოებებს მიეცეთ სესხი. მაშინვე წამოხტა ერთ ხელათ „გვაზაურებული“ კუთაგეთელ ჩასუქებული „გლეხი“ და ერთი აურ-ბაური ატეხა, რას მიქვია გლეხებზე სესხის მიცემა, რათ უნდა იმათ ფული, ან და როგორ შეუძლიათ ფული მოიხმარონო! ამ „გლეხს“ მიემხრო წევრთა უმრავლესობა და დაადგინა: სანამ გლეხობა ფულის ყაირათს არ ისწავლის, სესხსაც ნუ მიეშვიებთო. და მერე ვინ არის ამ ეგზამენის გამკეთებელი? უეჭველათ იაღე „გლე-

ᲘᲣᲓᲐ ᲘᲡᲙᲐᲠᲘᲝᲢᲔᲚᲘ

ფეხ ქვეშ ოქრო-ვერცხლი უყრია, ზურგზე ჭიდია ეკალი, რომელიც ცოდვებს წარმოადგენს, თავ-ლწინ ქრისტე ელანდება; რაც წინ მიდის მით უფრო ჩზელეტს ეკალი და აშფოთებს ქრისტეს სახე.

ხი" თავისი პოტრფელით, (ის გამომძიებელი ბრძანდება) დაიბარებს ბლეხებს სათითაოთო, ანგარიშში გამოკიდის დ. მოწმობას მისცემს: გაძლევ ნებას ქვეყანაზე იცხოვროო. აი ეერმაშვილის ამბანაკი, მისი მარჯვენა ხელი. ერთი მოკალაქეთ ზარდის, მეორე სოფლელთ—ესენი ერთი-მეორეს ანსენენ.

***

ᲨᲣᲠᲯᲐ ᲔᲐᲠᲓᲐ ᲔᲥᲔᲠᲔᲢ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲡ,
მასზე ბულბულსა მყეფარეს;
და იქვე—მიწას გათხრილსა,
შავ-ბნელითთ მოკუულ სამარეს.

—

პირველის მზერით მე ეტკბები,
ფიალა ეშხით მეესება,
გონება გრძნობათ გადმექცა,
გული ულს ეალერსება...

—

და ეამბობ ალელეებული:
აი, სიცოცხლე ეს არი,
გაფურჩქვნილ ეარეს რომ დაჰყეფს
ბულბულელი, ეარეზოგით მკენესარი.

—

მეორეს ეელტეი და თეალებს
ეარდებ შიშით, კრძალეითა,
სიცოცხლის დასარულია,
მოგეეპარება მალეითა!..

—

ეარდი დაჭკნება, დაცე

ასამიძეც: დაეფალოთ და სინდისის ქეშ ჩენი მხრით ეკითხოს ამ წერილის სინამდვილე და ბრალეულების საქმე მოეფელს ბრალეულებისას ისიდორე მაჭარაშვილს,[1]) მღ. სვიმონ წერეთელს და ბ. სილიბისტრო ჯიბლაძეს, რომელნიც ძალიან კარგი მეგობრები არიან, როგორც გამიგია, თ. დიასამიძეების ოჯახისა და ტაუფილაც არ იკადრებენ და დაწერილებით, სხვაზე უფრო იციან ამ საქმის ვითარება. თუ ამათ ხათრი არ მოიკადე, ან ერთი და ან მეორე მხარისა, დარწმენებული გახლავართ, რომ ჩენ ჩენს მოეალეობას ავასრულებთ და ვერც არაერ გვისაყვედურებს; ყოველივე კორესპონდენტის მოალეობაა, აღნიშნოს ფაქტი, რასაკვირველია ნამდვილი, ყოფილი და არა მოგონილი, იმდენთა, რამდენთაც მას საზოგადო მნიშვნელობა აქვს. დაეიცადოთ, ენახოთ კ ედვ, ვინ რას იტყვის ამ საქმის შესახებ და მერე უფრო დაწერილებით აეწერთ „მსუქანი დედლებით და ბურეაკებით გასუქებულ ეკბატონების“ ყოფა-ცხოვრებას და „მწლაკუნით ბარაყების გამშინჯავ ოსტატებს...

4 მარტი 1898 წ. ᲭᲣᲛᲝᲣᲠᲘ.

—

ბ. რედაქტორო!

თუმცა დიდათ პატიჟს ეკემ თ. გრიგოლ დიასამიძესა და მის ძმებს კერძოთ, მაგრამ რადგანაც საზოგადო საქმეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შემიძლია, არ მოგახსენოთ, რომ მე სრულ ეშმაკობებად მიმაჩნია, ის ამბები, რომელიც „ეკალის“ მეცხრე ნომერის ერთ წერილში იყო მოთხრობილი; ამას ჩემით კი არ მოგახსენებო. არა, მე ბევრს ეკითხე და გამოეკითხე და ისეთები მითხრეს და დამარწმუნეს ისეთებში, რომელიც არც კი მოლანდებია, მგონია, იმ წერილის აეტორს. ეს შეიძლება არ იცოდეს თ. გრიგოლმა და ჩენ კი დაწერილებით გაეიგეთ.

დგუშაეი თქენი მარად პატეოს მეკეშელი მღ. ხვიმონ
სხვ. გომი
12 მარტი 1898 წ. წერეთელი.

—

ბატონო რედაქტორო!

თანახმათ თქენი წერილისა ეალდებულათ ერაკცხ ჩემ თავს მოგახსენოთ შემდეგი: კიკეასთის სფელოკესერო კომიტეტის მონდობილობით მე ეს ოთხი წელიწადია, რაც ზემო-ქართლში ემსახურობ. სხვა სოფლებთა შორის სოფ. ბრილშიაც სამსახურის გამო ხშირათ მიხდება მისელა-მოსელა სხვა-დასხვა ცნობების შესაკრებათ. ამისათვის, რასაკვირველია, ძალა-უნებურათ მიიპყრო ჩემი ყურადღება ბრალეულებსა და მათ მეგობარეთა შორის ჩამოვარდნილმა ამბებმა. ისტორია ბრალეულების საქმისა მეტათ გრძელი და რთულია. ფაქტები, რომლებიც ნათელს ჰფენს ამ ჯერ-ჯერობით ბნელით მოცულ გარემოებას, მრავალია. ახლა არც დრო მაქვს და არც ალაგი იმათი გამოქვეყნებისა. მხოლოთ ეიტყეი, ფაქტები, რომლებიც მოკეანალი იყო „ეკალის“ № 9 ბატონ ქვემოფრის მიერ ბრილის გლეხობის მდგომარეობის შესახებ, სრულ ჭეშმარიტებათ მიმაჩნია.

დ. სეფმა. ს. ჯიბლაძე.
20 მარტი.

—

ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲚᲘ. 28 თებერვალი. ამ დღეებში აქაურმა გლეხებმა გაგზავნეს ადგილობრივი მღვდელი ი. მაჭარაშვილი თეკლისში გრიგოლ დიასამიძესთან მოსასარგებლოთ. გლეხები თხოულობენ დარჩენილ ფულის (ნედლიკის) პატიეებას და საღალეთ გაცემას ისევ მათზე ის სარნაე მიწებისას, რომლებსაც დიასამიძეები აძლეეენ გარეშე გლეხებს. გრ. დიასამიძეს სამუშაოთ არ შეუშეარებია გლეხების ასეთი თხოვნა და უარი გამოუცხადებია მორიგებაზე. არ მოეურიგდები, სანამდის დარჩენილი ფულის არ გადაიხდიანო და თუ გადაიხდიან, მოეურიგდები მხოლოთ რამდენსამე კომლ გლეხს და არა სულ ყველასა. ბრალეულები ამ პირობებზე უარს არიან და უფრო კი უკანასკნელზე...

Ꮆ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

1. ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲠᲘᲡ.

„Deutschland, Deutschland über alles, über alles in der Welt“, — ამ სიტყვებით იწყება გერმანელთა ნაციონალური ჰიმნი: „გერმანია ყველას მაღლა, ყველას მაღლა ქეეყანაზეო“... როგორც ეიცი, ეს ლექსი 1841 წელშია გამოთქმული. მას შემდეგ ამას აქ დიდი და პატარა ყველა მღერის. ამას დამღერიდა ხალხი 1848 წ. რეეოლიუციონ დროს, მღეროდა ჯარი ჯერ ავსტრიაზე და მერე საფრანგეთზე საომრათ გამზადების დროს, ამასვე მღერის და ღიღინებს ახლაც გერმანიის ბურჟეაზია. მხოლოთ ეხლანდელი ღიღინი განსხვავდება წინანდელისაგან. წინეთ ეს სიმღერა გაისმოდა თეით გერმანიაში,— დღეს კი ეს ძალიან შორი ქეეყნიდანაც მოისმის. ამ ქეეყანას სახელათ ჩინეთი ჰქვია და ის პროეინციას, საიდანაც ეს გერმანელთათვის სასიამოენო ხმა მობიბინებს,—ეიოო-ჩაო.

[1]) ჩვენ მეგზურთან მაშ მაჭარაშვილს, რომელისგან ჯერ პასუხი არ მიგვიღია. რედ.

და როგორ არ იმეცოოს გერმანიის ბურჟუაზიამ? ეინც კარგ გუნებაზეა, ის ყოველთვის ღიღინებს. გერმანიის კაპიტალისტებიც ამ ტამთ ძალიან კარგ გუნებაზე არიან. გამარჯვებულმა და „ძლევამოსილმა“ გერმანიამ თავისი ბაირაღი კიაო-ჩაოში აიკრიალა, „ეელური“ ჩინელები აქეთ-იქეთ მირეკ-მორეკა და რიხიანი ხმით გამოუცხადა: მოვედი, რათა გავაერთელო თქვენში ახალი „სახარება“, კულტურა, ცივილიზაციაო... ეს, ცოტა არ იყოს, „ძალათ მაცხონეო“, რომ იტყვიან, ისმა ჩამოგვეს, მარა რას იზამთ! ეისაც ნებით ცხონება არ ეძლეგა, ის ძალათ ცხონებას უნდა დაკმაყოფილდეს თურმე. ჩინეთიც ასე მოიქცა და დაკმაყოფილდა. ჯერ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 6 მარტს (ახ. სტ.) ჩინეთის გერმანიის ყველა მოთხოვნილებებზე ხელი მოაწერია და ამ გვარათ გერმანელების კიაო-ჩაოში გაბატონებაზე დათანხმებულა. Endlich! დაიძახა ამის გაგონებაზე გერმანელმა: ბოლოს აღსრულდა!

აღსრულდა, მზოლოთ ეს გერმანიისთვის. ჩინეთს ამით მაინც დამშვიდება არ მიეცემია. ახლა მას სხვა სახელმწიფოები შეაქცერიან და შეიარღიტებენ: თუ გერმანიას არგუნე წილი, ჩვენ რაღა მასზე ნაკლები ვართო, ჩვენც უნდა ვეიწილადოო. რასაკვირველია, ჩინეთი ამთ საერთო მოთხოვნილებას ვერ გაუძალიანდება, მარა, მისდა სასიამოვნოთ, ეს ლუკმის მაძიებელნი ერთმანეთში ვერ შეთანხმებულნან,— თითოეულ მთკანს სხვაზე უფრო დიდი ლუკმის ხელთ გდება უნდა. და ასე სხეის სანახარაზე იწყება ბრძოლა, შეტაკება, აურაზური, ხეფწნა თუ დაშინება, ზარბაზნების ჩენებაც თუ ჩუმი მოლაპარაკება, ერთი სიტყვით ყველი ის ამბები, რომლებსაც დიპლომატია ეძახიან.

სალაპარაკოც ამაზე ახლა მაინცაა და მაინც ბევრი აღარაფერია. გერმანიის გამარჯვებას და კიაო-ჩაოს ხელთ ჩაგდებას მოჰყვა გერმანელი ეაჭარ კაპიტალისტების ჩინეთისკენ გამგზავრება. რა უნდა ჰქნანთ მათ ჩინეთში, ეს მათ ჩენეზე კარგათ იციან. ჩინეთის მიწის გულის გარიეეეი, მადნების დამუშავება, ახალი და ახალი რკინის გზების გაყვანა, ამის გამო ადგილობრივ მცხოვრებთა დაჭერა და ამოძრავება, ეიროპიელ საქონლის ჩინეთში შეტანა და გასალება, ადგილობრივი წარმოების ვაძლიერება-განვითარება, ერთი სიტყვით ჩინეთში ფულის ბრძანებლობის შეტანა, —აი, რა უნდა მოიმოქმედოს მორეულ ეზიაში გერმანიის ბურჟუაზიამ და საზოგადოთ ეეროპის კაპიტალმა. ჩინეთის გამოფიზლება და გერმანული ბურჟუაზიის ჯიბის გასქელება—აი, რა უნდა მოჰყეეს შედეგათ ამ მოქმედებას.

რომ ჩინეთსაც ფულის ცოტ-ცხელება უნდა მოეფდას და ედება კიდეც, ამის ნიშნები ახლაეე ჩანს. ერთი კორესპონდენტის სიტყვით ასეთი ცოტ-ცხელეთის ბუდეთ ჯერ-ჯერობით ჰეკინი გამხდარა. აქ სხეა და სხეა ჯურის ხალხს მოუყრია თავი. ბირეკის სპეკულიანტები, ბანკირები, რკინის გზების კონცესსიის მაძიებელნი, ელექტრონის ტრამვაის გაყვანის მსურველნი, მადნების მნატერელნი, ერთი სიტყვით სულ ბურჟუაზიის მსხვილი ფეხობა,—ინ ის ხალხი, რომელიც ახლა ჰეკინს მოდგება და მოსაკვების ძებნაში წელებზე ფეხს იდგამს. „მარა —განაგრძობს კორესპონდენტი—თვით ჩინელი ეეჰრბიეიც არ იჩენენ ნაკლებ უნარსა და მოძრაობას. ესენი ძალიან ფაკაფუცკნი არიან. ყოველელ დღე ღილა ადრიან ჩინელი ბანკირები ერთათ იკრიბებიან და ბირჟის კუჭსს იეგბენ. თითოეულ მათგანს თან თითო ტრეფი ჰყოს და ამ ტრეფების საშუალებით ისინი ბირჟის კუჭსს თავის ბანკებს ატუობინებენ“ (გაზ. Temps, 9 მარტს).

თუ ეს ახლაეე ასეა, უნდა წარმოვიდგინოთ, რა უნდა იქმნეს შემდეგში. არაეითარი საფუძველი არა ვეაქვს ეიფიქროთ, რომ ეითომ ჩინეეთი მუდამ იმ მდგომარეობაში უნდა დარჩეს, რომელშიაც აქამდის ყოფილა. მთელი ეეროპის ეხლანდელი ჩხიკინი იმის მომასწავებელია, რომ ჩინეეთი უნდა დაიძრას ამ ჩვეულებრივი უდარდელი ძილისგან განთავისუფლდეს. რაში უნდა გამოიხატოს ეს დაძერა, ეს გამოფხიზლება? რასაკვირველია, ჩინეეთის გაეეროპიელებაში, გაეეროპიელება კი ნიშნავს ეეროპიელ წარმოების შეთვისებას, მრეწველობის განვითარებას, საქონლის და ფულის ტრანზიის გაძლიერებას და საზოგადოთ მთელი ცხოვრების ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე აგებას. წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღეს ყველა ეს ჩინეთში მოხდა, 500 მილიონიანი ჩინელი ხალხი შეძლება-ქონების მიხედეთ დაბაწილდა, გაჩნდა ჩინეეთ მდიდარი, ჩინეეთ ღარიბი, ჩინეეთ ფულიანი, ჩინეეთ უფულო; უფულო ხალხი ფულიანს დაუმორჩილდა —შეძენა მადნებში, ფაბრიკებში, რკინის გზებინა გასაყვან ვეერაბებში და იქ დღიურათთ მუშაობა დაიწყო; ჩინეეთ მდიდარი ხალხი კი ამ მადნების, ფაბრიკების და რკინის გზების პატრონ-მმართველი გახდა. წარმოვიდგინოთ, რომ დღეს კარ-ჩაეეტელი პროეინციებათ დაყოფილი ჩინეთი ერთ დიდ ჩინეთათ გარდაიქცა. ჩინეთი გაერთანდა ეკონომიურათ და ამით გაერთიანდა ნაციონალურათაც. ერთი სიტყვეთ, იგი ერთი დიდი ნაციონალური სახელმწიფო შეიქნა. რას ეტყვიან ამ მაშინ ეეროპის ბურჟუაზიას? უეჭველია, დღევანდელსავით რბილათ და მორჩილებით ლაპარაკს აღარ დაუწყებს... და აი, მშვიდობით ბაზარო, მშვიდობით მოსაგებო!.. ადვილი წარ-

მოსადაენია მაშინ ევროპის ბურჟუაზიის ტირილი, ჩიეული და იერემიადა. შინ კლასსიური ბრძოლა მუშა ხალხთან, გარეთ უბაზრობა, საქონლის გაუსაღებლობა, ამის გამო წარმოების შეჩერება, მუშაობის შეწყვეტა, ხალხის უსაქმოთ და უუროო გაჩერება—აი რა უნდა მოჰყვეს შედეგად უბაზრობას. და ასე კრიზისი კრიზისს მოჰყვება, კრიზისკრახს და ბოლოს, ვინ იცის, შეძლება ისეთი საზოგადოებრივი წესი-წყობილების კრახიც, რომლის მსგავსიც ჯერ არც კი ენახოს ისტორიას...

მხოლოთ ყველა ეს შაი ფიქრები მიმავალ დროს შეეხება. დღეს დღეობით კი ევროპეის ბურჟუაზიას საკოდებელი არაფერი აქვს,—იგი გამარჯვებულია და ჩინეთში ახალ ახალ მოგებას იჭიბავს. ხელ რაც იქნება, იქნეს,—ბედის წერას ეერა�გაექცეაო, ამბობს ის.

მაგრამ ამის თქმა იმას არ ნიშნავს, რომ ეეთომ აქაური ბურჟუაზია ამ „ბედის წერაზე“ არ ზრუნავდეს და არ ფიქრობდეს. ფიქრობს, როგორ არ ფიქრობს,—მარა ფიქრობს თავისებურათ, ბურჟუაზულათ. აი, მან ახლა კიაო-ჩაო შეიძინა, ბაზარი გაიფართო

. ეს რასაკვირველია, კაი საქმეა, მარა ის ამაზე არ უნდა გაჩერდეს. ეს მოგება მას დიდ ხანს არ ეყოფა. ამიტომ საჭირო იქნება ჩინეთის ტულმკერდის უფრო ღრმათ შემტვრევა, საჭირო იქნება ახალი კიაო-ჩაოების შეძენა. ამაების შეძენამს ხომ ძალა უნდა. ძალი კი ახლანდელ დროში არა მუშტიკრიეიით განისაზღერება, არამედ გაუმჯობესებული თოფ-ზარბაზნებით და საომარი გემებით. ზარბაზნები და თოფები გერმანიის საკმაოთა აქვს, ხოლო საომარი გემები, ფლოტი, სხეებთან შედარებით—ნაკლებათ. ამიტომ მთავრობა და ბურჟუაზია ამ ქამთ ფლოტის გაძლაელების სჯა ბაასშია. ბურჟუაზია აქაც ღიღინებს, ღიღინებს, როგორც ზეედთ მ ოეიხსენეთ, ნაციონალურ ჰანგებზე: Deutschland, Deutschland über alles-ო... რომ ეს გაეგოთ, თუ რამ დააყენა ს ფლოტის საკა-ბაასშიაც ღიღინის გუნებაზე, უნდა თავი დაეანებოთ ჩინეთის ამბებს და გერმანიის რეიხსტაგში შეეიდეთ.

ფ. პატრაშვილი.

წერილი მოსკოვიდან.

(დასასრული *)

ᲐᲠᲐᲛ როგორ უნდა მოეხმაროთ მილიონებიო? კითხულობს კერნეკი და ამნაირათ უკეთს პასუხს: სიმდიდრე უნდა მოეხმაროთ ხალხის საკროებას, დაწესებულებათა გამოელებას და გაუმჯობესებას. უპირველეს საჭიროებას ბიბლიოთეკები შეადგენს. ჯონ ბრაინს არ ეყოფა „თუ ეკრედთ ახალგაზდას სიკეთე მიანიჭოთ, მიეცით ღონისძიება რიგიანი ბიბლიოთეკეთ ისარგებლოს.“

დაარსეთ უნივერსიტეტები, სკოლები, საავადმყოფოები, „სახალხო სასახლეები,“ სადაც ხალხს შეეძლება შეიკრიბოს ხალხეი, მიტინგები მოახდინოს, თავის საქმეებზე მოილაპარაკოს, გაიშვეთ პარეები, რომელიც ქალაქში მცხოვრებთათვის ერთთან ერთი ადგილია, სადაც შეეძლებთ ზმინდა, გაუფუფუ ქებელი ატმოსფერით ისარგებლონ. ეს ჩვენთვის შეიძლება სასაცილო იეოსო, ჩუენთო ლეტერატა, მაგრამ თუ მოეიგონებთ რამდენი სული მოწამლული ატმოსფერის გამო სოიკარი სენი—ჯილეტის მსგეერპლი ხდება, დაეინახავთ, რომ ამნაირ დაწესებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ჯანრთველობისათვის. ერთმა კაპიტალ სტმა, ვეარათ ფიპსმა, მრავალი სახლები შეისყიდა ქალაქში. მხოლოთ იმიტომ რომ სახლები დაენგრია და ადგილი პარკათ გადაექცია. მხოლოთ ამნაირათ მოხმარებული ფული გამოიღებს კეთილ ნაყოფს და ეს მარტო მილიონერების მოვალეობა როდია, არამედ ყველასაო, ეისაც კი რამე საზოგადოებრივი ინტერესი აქვს. შეუძლებელი რამ აქ არაეინთვის არ არის. ის რაც შეუძლია ერთ მილიონერს, შესაძლებელია შეერთებული ძალით რამდენიმე არა მილიონერთათვისაც, უბრალო მოხელეთათვის. ამიტომ ყველამ გამოიღოს თავთავის წვლილი დიდი საქმის მოსაეარებლათ. კერნეკის წიგნმა მწერლობაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; იმისთანა გამოჩენილი კაცის ყურადღებაც კი მიიქცია, როგორიც არის გლადსტონი. ერთ ერთ ინგლისურ ჟურნალში დაბეჭდა გლადსტონის სტატია, რომლის შინაარსი შემდეგია:

გლადსტონი აღნიშნავს რა კერნეკის წიგნის დიდ მნიშვნელობას, თავის მხრით დაუმატებს: ამ ქამთ იზრდება „თავისუფალი სიმდიდრე“, რომელიც არაეითარ მოეალეობას არ კისრულობს და მხოლოთ თავის კაპიტალის გადიდებას ცდილობს. 1842—1889 წლამდე დიდი ბრიტანეის სიმდიდრე გასამდა, მხოლოთ მზრუნეველობა ღარიბთა და დაერღვევილთა შესახებ კი თანდათან კლებულობს. ერთთან ერთი ხსნა კაცობრიობის ზნეობრივ განსაეტაკებაშია და ამ აზრის განსახორციელებლათ „საზოგადო ფილანტროპიული კაეშირის“ დაარსებაა საჭირო. ყოველ წლიურათ სიმდიდრეს 2 მილიარდი ვირ. სტერ. ეპატება; აქედან სასარგებლო სიმეგიბისათეის რომ 10% იქმნეს გადადებული, დიდი შეღავათი მიეცემა კაცობრიობის ერთ ნაწილს. მე კარგათ ეერძნობ, რომ ჩემი სი-

*) ის. „ᲙᲝᲜᲓᲚᲘ“ № 13

ტყვები დაუყოვნებლივ დიად ნაყოფს ვერ გამოიღებენ და კაპიტალისტები თავის კაპიტალებს ამ წამიერ არ გადმოალაგებენ; შეიძლება ამ სტატეტებს არ უსმინოს არც ასმა, არც სამოცმა კაცმა, მხოლოთ ღრმად დარწმუნებული ვარ, ოკ-და-ათი კაცი მაინც შეიგნებს ამ საქმის დიად მნიშვნელობას და თავის წვლილს ეხლავე გამოიღებსო, აბოლოვებს თავის სტატიას ბლადსტონი...

ახლა ეკითხოთ: აქეს თუ არა რუსეთს „თავისუფალი სიმდიდრე?“ ბეერი! თუმცა ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტად მცირე, მაგრამ მილიონერები ჩვენც გვყავან, „თავისუფალი სიმდიდრე“ ჩვენშიაც არის. დღეკანდელი გადასახადის სისტემა ღონისძიებას ძალუეს კაპიტალს გადასახადი თავიდან აიცილოს; როგორც მოგებსენებათ ჩვენში არა პირდაპირი გადასახადი ჯარბობს; ამნაირი გადასახადი კი ყოველთვის ღარიბი აწვებათ კისერზე; ჩვენში პირდაპირი გადასახადი ხუთჯერ ნაკლებია არა პირდაპირზე და წარმოიდგინეთ თუ რა გაჭირვებაში უნდა იყვენ ისეთაც გაჭირვებულნი. არსად ისე თავისუფალი არ არის კაპიტალი გადასახადისგან როგორც რუსეთში. მრეწველობა და ვაჭრობა თითქმის მისგან სრულიად განთავისუფლებული, მხოლოთ სიმდიდრე კი თანდათან მატულობს, მის ზრდას საზღვარი აღარა აქეს. საკმაოა გაიხსენოთ თუ რამდენი კაპიტალი შემოდის საზღვარ გარეთიდან მაგ. ამ უკანასკნელი ხანებში ბელგიიდან სამხრეთ რუსეთში, რომ ეთქვათ, ჩვენში კაპიტალი ზღაპრულ გმირსავით დღეკოპით კი არა, საათობით იზრდება. ჩვენ რაღაც მოხელური („чиновничій“) ბუნებულობა გვაქვს სახელმწიფოზე. ვეღარ რაც შეიძლება მეტი გამოვართვათ და რაც შეიძლება ნაკლები დაეუბრუნოთ მას და ჩვენ მაგიერ ვლეს ეახდე

ლი, კარ და კარ სიარულით და სხვის მოწყალებით გამოზრდილი და შენი შვილის ცოლობას არ ღირსო. და ესეც რომ არ ეყოსო—დაუტატა მოხუცმა—ჩემი შვილი სარწმენოებას ვერ შეიცვლის და ქრისტიანნ ვერ გაჰყვება ცოლთათა.

ასეთი გადაჭრილი უარი უთხრა მეჭიანურემ თომას დედას და ამ დღიდან ალარც მოჰკარებია იმათ სახლს.

ფატმა კი სულ სხვასა ჰგრძნობდა! იმის ფმანკო. გულს პრიელთან მოხდა სიყვარულის ნაკარწყალი, მან პრიველთან დაინახა სიყვარულის ვამიმე ხუეელი თვალები და ამიტომაც თავ-დავიწყებით დამშორჩილდა მას: ერთ ქარიან ღამეში, როდესაც დალალული მამას ჩაეძინა, ფატმამ დაიკლო ხელი თავის პატარა ჭიანურს, ცრემლის ფრქვევით გადახედა მძინარე მამას და რატ-დასმბული გვიდა სახლიდან... გადადგა რამდენიმე ნაბიჯი თუ არა, უცბათ შეჩერდა, რაღაც საოცარი სიმშვენე იგრძნო, თითქო გულიდან მოჰგიოლიჯეს რამეო, მარა უეცრათ მოაგონდა დაჩაგრული თომა, რომლის სიკდილ-სიცოცხლე ახლა ფატმაზე იყო დამოკიდებული, მოაგონდა იმის დედის მდელარე ცრემლითა ვედრება, თავისი მტკიცე სიტყვა და საჩქარათ გაექანა სატრფოს სახლისაკენ. „ბაბა მაპატიეს, შემირიგებსო“.... — ფიქრობდა ფატმა, იმედს აძლევდა თავის-თავს, მარა, თ:თქო იხრჩობოო, სული ყელში ებჯინებოდა...

მეორე დღეს მთელ ქვეყანას მოედო ეს ამბავი.. საწყალი მეჭიანურე ცხარე ცრემლით მოთქვამდა მოღალატე შვილს. რაც გაეწყობოდა, ყოველი ღონე იხმარა, მარა თავისი შვილი ვერ დაიბრუნა. იმედს მაინც არ ჰკარგავდა; „ბომბორანეს და შეეფერალეიმ“,—ამბობდა მოხუცი. „ან რათ მიკვირს, რომ კარ-და-კარ სამოწყალოთ სიარულს ეს ამჯობინან? განა ის კი არ გრძნობდა, რომ მე, ძალზე მომშეფული, ეიკლებდი როცა ეიმბე მადლიანი ჯოს მოამზეფდიდა და ისმა ეაძლეედი!? მიყვარდა, მეგრალებოდა, შვილი იყო!.. განა ისმა კი არ ეუყვარდი? მაშ რა იყო ეარს რომ მეტყოოდა—არ მინდა, არ მშიაო?! არა, ისმაც ეგრალებოდიი... რამდენჯერ მოვიდოდა და დამხუარაედა—არ შეკეფდესო!.. ასე ფიქრობდა შშობლური გრძნობით გულ-მამაკაცი მამა რამდენსამე დღეს შემდეგ, მარა როდესაც შეიტყო ფატმა სხვა ქვეყანაში წაუყვანიან, მოუნათლავეთ და ჯვარი დაუწერია თომასო, მაშინ კი საზარელი ქვითინი მორთო, თოვლივით თეთრი თმა და წვერი მუჭ-მუჭათ დაიყარა შვილის ლოგინს და სამუდამოთ განშორდა იმ არე-მარეს, სადაც ბედისაგან ყველაფრით დაჩაგრული, ღარიბსა და ღატაკ მოხუცს ეს ერთათ ერთი ნუგეშიც კი წართვეს და რჯულისა და თემის წინაშე პასუხის მგებლათ გახდეს.

ათმა წელიწადმა განელო მას შემდეგ. მარიამობისთვის ბოლო რიცხვები იყო, ბაბა ტკეცილზე დღე და ღამე შეუწყვეტლათ ისმოდა ეტლთა ზარეების რაწკა-რაწკა, ფილოკანების გრიალი და სხვა მრავალ ვგარი ხმაურობა. ვერის ახლო, მიწიდრიზე მოჩანდა რამდენიმე ბამბის კარავი, რომლის ირგელივე ათასნაირათ დაძონძილ ტანსაცმელში გახვეული ბავშვები და დედაკაცები ირეოდნენ. იმათ მოშორებით რამდენიმე მამაკაცი გაჩერებულიყო და რაღაცაზე უთათვებდენ ერთმანეთს.

საღამოშ მოატანა. ეტლების რიცხვი უფრო და უფრო მატულობდა ბაზაზე. ბოშა-დედაკაცები და მათი ბავშვები ხან ერთ ეტლს გამოეცვლიდენ შეუპოვრათ და ხან მეორეს. მტერით შემფარული მეეტლე მარდათ იქნეოდა მათრახს აქეთ-იქით, მარა სანამდე ერთ-ორ ბეროსნს არ მიიეტანდენ მოგზაურთაგან ყოველი ცდა ამაო იყო იმათ მოსაშორებლათ. მხოლოთ ერთი დედაკაცი არ ეჩოდა ამ მოძალეე ხალხში: იყდა გზის განაპირთან ერთ დიდ ქვაზე და ისე ღიმათ ჩაფიქრებული გაჰყურებდა მთა-წინდის გორას, თითქო იმის ახლო ბუზებიც არა ჰფრინავსო. დიდხანს იყო ასე ჩაფიქრებული ეს დედაკაცი და, ეინ იცის, კიდეე რამდენ ხანს იქნებოდა, რომ ერთ შემოწეეფილს არ შეეშალა ხელი: ერთი შეიდი-რეა წლის ბიჭი ხან ერთი მხრით მოუყლიდა გაეანებულ ეტლს და ხან მეორე მხრით. უეცრათ ცხენებ ქვეშ მოიქცა ბოშა-ბიჭი და ცალი ფეხი საკოდეთან დაეჩეჩქეა. ამაზე ატყდა საშინელი წეიღილ-კიეილი დედაკაცებისა; ზოგნი ბავშს შემოეხეენ და ზოგიც ალაკან შემოერტყა ეტლს, რომლიდანაც მეტათ შეწუხებული სახით გადმოეიდა ძალზე გამხდარი და ფერ მიხდილი კაცი. აი, ამ გარემოებამ გამოაფიზლა აქამდე განაკლავეებით მყდმი დედაკაცი; ის მარდათ წამოდგა, და იქით წაეიდა, სადაც ეს აშფოთებული გროვა სრულიად უდანაშაულო მგზავრს შეჰყაკანებდა.

— თომა!!.—წამოიძახა ახლათ მისულმა ქალმა და თეალები ცეცხლეეით გაუხდა.

უეიმსოთაც ფერ წასული და თეალებ ჩაკეეგნელ კაცს მკედრის ფერი დაედეა. მთელი ტანი ეერხეის ფოთოლ-ითი აუკანკალდა და თითქო თავის თეალს არ უჯერესო, გაფითრებული დაუმტერდა ქალს. იმის წინ იდგა ფატმა, რომელიც ამ ექვსი წლის წინათ გაავლო სახლიდან... თომას სხვა შეუყვარდა, ხოლო ფატმა, ეს უმანკო და კეთილი არსება ბაავდო სახლიდან ისე დაუნანებლათ, როგორც ნაცვამ ქალამანს გადისერიან ხოლმე.

საშინელება იყო ეს წამი ორივეესათვის! ორივე გულის ძგერით შეჰყურებდა ერთმანეთს... და თუ ერთის სახეზე სინანული და ვედრება იხატებოდა, მეორის სახე მრისხანების და სიყვარულის გამომტყველი იყო.

— ფატმა! ცხადათ გხედავ თუ მოჩეენება ხარ?! მითხარი, შენა ხარ ჩემი ფატმა, რომელმაც სიკდილის პირათ მისულს მომანაქეე სიცოცხლე, დამიბრუნე ქკეა-გონება და მე კი ნამაგიეროთ — გიღალატე?!

ფატმამ პასუხი არ მისცა. საბრალო ქალს ობოლ მარგალიტებივით მოკრიალებდა ცრემლები. ბოშა დედაკაცები თავისას არ იშლიდენ, შემოხვეოდენ

თომას და ზოგი კალთაზე ეზიდებოდა, ზოგიც რა სიტყვით არ იხსენიებდა, ეინ იცის; ყველის თვალი და გული კი—ბეზარის ჯიბისაკენ იყო... მეტი მღელვარებისაგან ფატმას პუსლთ მოკვეთია და თითქმის გონება-მიხდილი ჩაჯდა საცოდავი ახალგაზდა დედაკაცი. თომა მიეარდა, უნდოდა გულში ჩაეკრა უდანაშაულოთ განდეგილი ცოლი, მაგრამ ქალმა ძალონაგი მოიკრიფა, მარდათ წამოეარდა და მრისხანე ხმით დაუყვირა:

— შორს ჩემგან, ცბიერო! რა უფლება გაქვს, შემწიკელული ხელი შეახო ინ ადამიანს, რომელიც ისე უწყალოთ მოიძულე და სახლიდან გაგაგდე! დიახ, მე გახლავარ ფატმა, მეფულე დიდი მეგობატონისა, მარა მისგანვე მოტყუებული და ღღეს ბოშათა თანა მოწყანწალე... შენ ვერ დაიფარე ის წრფელი გული რომელიც პირველათ და უკანასკნელათ მხოლოთ შენთვის აძეკრდა... და ეველა ეს ჩანდნე ინიტომ რომ მამა-კაცი იყავი, ცბიერი, გაუტანელი... თქვენ მამაკაცენი აღელვებულ ზღვასა გავხართ: ზღვა მანამ ბობატრაბს, ყველფერს თავს მღელვარე ჭყერეში იკრავს, მარა გაიელის თუ არა ტალღა, ისიც წანარდება და ყველფერს შორს, ნაპრისაკენ სტყორცნის ხოლმე. შენი ჩემდამი ვრძნობაც მღელვარე ზღვა იყო და მე კი უბრალო ხისაგან გამოჭრილი ნავი, რომელიც დაუნდობელი ზეირთვბით დალეწე, დამტვრიე და კლდეთა ნაპრალისაკენ გადისროლე...

— დამბაშაე ვარ, ჩემი ფეხთა!.. ის მოკედა.. შენ კი ფიცს გაძლევ, სიკედილამდე გიდმერთო, შენი ერთგული ვიქნე...

— მოდალატე! კი არ მოკედა, ნამუს ანდილს არ შერცხეა სხვას გაჭაოლოდა... ახალი სატრფო იშოვნა და შენ კი გიღალატა ისე როგორც მე შენ მიღალატე... ღირსიეული ჯილდო მიიღე... მარა ეს ჩემთვის სულ ერთია! ამ შეშოთებული სულს ეკრაფერი ... დამიწყნარებს და შენგან განგმირული გულის ... ერნენა არაფის არ შეუძლია. ჩემთვის ყოველი ... ერარული მოსპობილია... და არც ვეძებ მას. ეს ... ბი უფრო სანდონი არიან ჩემთვის, ეიდრე სხვა ვინმე... ესენი თუ დამითხოვენ, არ მატანრებენ სოფლიდან სოფლათ, - სხვა მაწარნული შეეუერთდები, ჩემ მოშბაჟულ სიცოცხლეს ეს არაფრათ ეუცნოვება... ხოლო მეგობარს, ერთგულს არა სოდეს არ ვეძებ, რადგან, დარწმუნებული ვარ, ვერ ეიპოვი... ეი, ჩემი ერთგული და გამუყრელი მეგობარი ეს ჩემი ჭიანურია! ეს მაცხოვრებდა ჩვიდმეტ წლამდე და ესევე მაცხოვრებს ღღეს... შენ კი.. მარა არა .. მშეიდობით... — აკანკალებული ხმით თქვა ფატმამ, მხარიელივე გაეაყიდებული ჭიანურო მოიმარჯვა და საჩქარათ მოშორდა ფერ მიხდილ კაცს, რომელიც გამოურკვეელათ ბუტბუტებდა რაღაცას...

რეტ-დასხმულ თომას საშინელმა ეროვნტელმა დაეარა მთელ ტანში.. მას უკანასკნელათ კიდევ შემოეცმა ჭიანურის სიმთა ყღერა და მასთან გულის მომწყვეტელი ნაღელიანი ხმა ქალისა: ფატმა ასეოიყო ბატარა კორძზე, უკრავდა ჭიანურს და მდუღარე ცრემლის ფრქვეევთ მღეროდა თომას საყვარელ ლექსს .. დიახ, მღეროდა, მარა ამ სიმღერით მოთქვამდა თავის უსიბარულოთ განელილ სიცმაწვილეს და მასთან ერთათ დაკარგულ თავის თომას.

განგაგიდი.

„ᲙᲐᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲬᲘᲡᲐ.

ᲐᲣᲗᲘᲡᲨᲘ. ბ. ნიე გეგელაშვილს. თქვენი წერილი, რომლითაც გვაცნობენთ თეატრის ბილეთებს ზოლოთ ეასაში ეკიდითო, მიეიღეთ, მარა არ ეხატმბაეთ. ჩვენ ძალიან ვეეკვნს, რომ სატრიული ფელეტონი კორესპოდენციისაკენ ვერ გაგირჩეეთათ, და თუ ეს ასე მოუვიდა ქართველ არტისტს რომელიც ქართულ ეროპალ-ეაზეთი ბასთან მწყარალთ ყოფილა, თქვენ მარაც ეგეცდინნათ თავიდან ეს შეცდომა. ასეთ ფელეტონებში გამოთქმული აზრისთვის სრულიად არ ეაგებს პასუხს რედაქეი. იქ ისიც კი იყო ნათქვამი რომ თოელი ეიფფელის კოშკის სიმაღლე იყოდა და რომ ეინმეს მტაც�da დაგიწყოს, არა ეს მართალი არ არისო, სასაეიოდ იქნება. საზოგადოთ ქართველ თქვენ არტისტი ისწავლიდეს ქართულის გაგებასა და აგრეთვე ქართულთან წერას. ხოლო სატირას და კორესპოდენციას ერთმანეთში ნუ არევეთ.

ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲗ ᲜᲐᲮᲣᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲠᲘᲗ ᲧᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲑᲐ

იერონალიფი - ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲘᲛᲐᲜᲐ რომელიც ᲛᲜᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ; ინტენსიური—ᲠᲝᲗᲕᲚᲘ; ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲘ—შეშოსკვეგ; მეტალი მაგნეტეზმისა; სტადია—ᲒᲐᲒᲠᲘᲡᲙᲕᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲘᲗᲣᲠᲘ; ᲰᲘᲜᲘᲡ - ᲡᲐᲧᲠᲔ ᲡᲐᲒᲠᲔᲑᲚᲘᲗᲘᲡ.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მაღაზიებში მ. ა. ᲑᲐᲠᲐᲚᲐᲜᲘᲡᲐ მიერ გამოცემული ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲡᲐᲡᲐᲛᲔᲠᲝᲗᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲐᲜᲔᲑᲘ

(ᲬᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲠᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲝᲦᲐᲕᲔᲑᲘᲗ)

თ. ნ. ტ. დ ᲐᲓᲐᲜᲘᲡᲐ

წიგნი შეიკვრა 33 გვერდს და ღირს 15 კაპ. ეინც ეს წიგნი ერთათ იყიდის გამოცემლისაგან ქ. ქუთაისში დაეთმობა მანეთზე ერთი აბაზი.

(10—5)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Марта 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა. ᲐᲐ. ᲠᲝᲢᲘᲜᲘᲐᲜᲪᲘᲡ Год. пр. д., № 41.